

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის შესაბამისად, შედგენილი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის სევერიან შენგელიას

ანგარიში

31.10.2016 წელი

ანგარიში მოიცავს 2015 წლის 30 ოქტომბრიდან 2016 წლის 31 ოქტომბრამდე პერიოდს.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 44-ე მუხლის შესაბამისად, როგორც ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ვახორციელებდი შემდეგ საქმიანობას:

- ა) მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებში მონაწილეობა;
- ბ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადება და ინიცირებაში მონაწილეობა;
- გ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოსადმი/თანამდებობის პირისადმი კითხვით მიმართვა;
- დ) ამომრჩეველთა მიღება, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვა.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის საქმიანობიდან გამომდინარე, მონაწილეობა მიღებული მაქვს : 2015 წელს -საკრებულოს 4 დადგენილებისა და 17 განკარგულების პროექტის განხილვაში, აქედან კომისიაში განხილული იყო 4 დადგენილებისა და 3 განკარგულების პროექტი, ხოლო 2016 წელს 29 დადგენილებისა და 70 განკარგულების პროექტის განხილვაში, აქედან კომისიამ განიხილა 8 დადგენილების და 16 განკარგულების პროექტი, მოსახლეობიდან და სხვადასხვა ორგანიზაციებიდან შემოსულ წერილებს გაეცა შესაბამისი პასუხი.

ყოველდღიურ რეჟიმში აქვს შეხვედრა ან სატელეფონო კავშირი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მშენებლობის, ინფრასტრუქტურისა და ტრანსპორტის სამსახურის, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ადმინისტრაციული ზედამხედველობის სამსახურის უფროსებთან. განიხილავენ ქალაქში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობასა და არსებული პრობლემების მოგვარების საკითხებს.

პერიოდულად ვხდებოდი ამომრჩევლებს, სოციალურ, ეკონომიკურ, ინფრასტრუქტურული პრობლემებისა და სხვა საკითხების განხილვასთან დაკავშირებით.

საკრებულოს წევრი

სევერიან შენგელია